ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47242833**
თარიღი:**09/10/2024**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N 9

***დ. ჩოხატაური* 26 სექტემბერი, 2024 წელი.**

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ზაალ მამალაძე, დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, კლოდი მდინარაძე, გივი ჩხიკვაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, მამია ბარამიძე, არჩილ სიხარულიძე.

მერაბ ხუნდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

არ ესწრებოდნენ: ჯუმბერი ბერძენიშვილი, ბიძინა ცინცაძე, დიმიტრი კორიფაძე, გოგი ბოლქვაძე, გიორგი მათითაშვილი, მაია გიორგაძე, მანანა მინდაძე, დავით ტყეშელიაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ბაია ძნელაძე, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, მარინე თავაძე, ნინო რამიშვილი.

მოწვეული:

ნატო ჯიბუტი - ა(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IVკვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _21

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 21 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნატო ჯიბუტი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IVკვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნატო ჯიბუტი

საკითხის მოსმენის შემდეგ აზრი გამოთქვა:

მამია ბარამიძემ, რომელმაც ნატო ჯიბუტს რამდენიმე კითხვით მიმართა:

კეთილსაიმედოა და არის თუ არა უვნებელი სასმელი წყალი რომლითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უხდება სარგებლობა.

ნატო ჯიბუტი - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღებულია სოფლებში სასმელი წყლის სინჯები, რომლებიც გასინჯულია მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე. არცერთი სოფლის წყლების

მდგომარეობა არ აკმაყოფილებს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებულ „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. სასწრაფოდ არის მისაღები ზომები წყლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ჩასატარებელი მონიტორინგი სოფლებში არსებული წყალსადენების სათავე ნაგებობებზე და ქსელზე რომ კონკრეტულად იქნას დადგენილი დარღვევების გამომწვევი მიზეზები.

მამია ბარამიძე - კონკრეტულად რომელ სოფლებში იქნა წყლის ვარგისიანობა შესწავლილი და რა გვიჩვენა შემოწმებამ.

ნატო ჯიბუტი - შემოწმებული იქნა ბასილეთში, ხიდისთავში, ზომლეთში, სამებაში, დაბლაციხეში აღებული წყლის ნიმუშები. დადგინდა რომ აღნიშნული წყლები სასმელად უვარგისია და იგი მხოლოდ ტექნიკური დაშინულებით იქნას გამოყენებული.

მამია ბარამიძე - როცა ამბობთ, რომ წყლების გამოყენება ტექნიკური დანიშნულებითაა შესაძლებელი, იმ სოფლებში სადაც სკოლამდელი დაწესებულებები ან სკოლებია განთავსებული ამ წყლების გამოყენება ხდება სასმელად?

ნატო ჯიბუტი- აღნიშნულ დაწესებულებებში მხოლოდ გაფილტრული წყალი გამოიყენება, ამ მხრივ პრობლემა არაა.

მამია ბარამიძე - მიეწოდება თუ არა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომ წყალს რომელსაც გამოიყენებენ მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებით მოიხმარონ და არა სასმელად .

ნატო ჯიბუტი- აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია მერი, რომელიც წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებენ მოსახლეობის ინფორმირებას. ჩვენც მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, ყურადღებას ვამახვილებთ აღნიშნულზე.

ქალბატონო ნატო - აღნიშნეთ, რომ ამ მომენტისათვის დაბაში ცენტრალური ქუჩების პრობლემას წარმოადგენს თხილის რჩევის შედეგად წარმოქმნილი ნაგვის გროვები, გთხოვთ, მიპასუხოდ რა ღონისძიება გაატარეთ ამ კუთხით?

ნატო ჯიბუტი - ჩვენს მიერ იქნა გაფრთხილებული აღნიშნული პირები მივიღეთ დაპირება, რომ გაწმენდნენ დანაგვიანებულ ადგილებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებული გავხადეთ მუნიციპალიტეტის მერია. ამ მიმართებით მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მკაცრი ზომები უნდა გაატაროს და მოახდინოს რეაგირება მდგომარეობის გამოსასწორებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს საჯარიმო სანქციები, რომლის უფლებაც ჩვენ არ გვაქვს.

და ბოლო კითხვა ქალბატონო ნატო, როგორი მდგომარეობა კოვიდთან მიმართებაში?

ნატო ჯიბუტი - ფიქსირდება ერთეული შემთხვევები, რაც მთავარია ინფექცია მძიმე ფორმით არ მიმდინარეობს.

ირაკლი კუჭავამ - რომელმაც რეზიუმე გაუკეთა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ნატო ჯიბუტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აღნიშნა:

მუნიციპალიტეტში, დაბაში ერთადერთი წყალსადენია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სასმელ წყლად. სხვა დანარჩენი მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებითაა გამოსაყენებელი, ვსაუბრობთ სისტემაზე რომელიც არ არის და არც არსდროს არ ყოფილა, ვთანხმდებით რომ საკითხი აქტუალურია და მნიშვნელოვანია, ინფორმაციული კუთხით ისევ უნდა გავაგრძელოდ მუშაობა. თუ

რომელიმე სოფლის წყალში აღმოჩნდა ნაწლავური ჩხირი მერიამ თქვენთან, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ერთად სასწრაფოდ უნდა განახორციელოს ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწერებლად, იმიტომ კი არა, რომ ვინმემ პასუხისმგებლობა მოიხსნას არამედ იმიტომ რომ ეპიდემია არ გავრცელდეს.

საკანალიზაციო სეპტიკის რეზერვუარი, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, დაბის ტერიტორიის დაქსელვა, ათობით მილიონობით თანხას საჭიროებს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის გარეშე დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია. საჭიროა ამ მიმართულებით მთავრობასთან მუშაობაის გააქტიურება.

მიმდინარე სეზონზე კურორტ მდგომარეობა ბახმაროში ვიზუალური თვალსაზრისით უკეთესი იყო.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მრავალმილიონიანი პროექტის შესაბამისად კურორტ ბახმაროში განხორციელდება წყალანირება, წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემის დაქსელვა, როგორც ცნობილია აღნიშნულის პროექტირება დასრულებულია. კვლავ პრობლემად რჩება და მოქალაქეებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ქუჩებში მოხეტიალე მაწანწალა ძაღლები. ადამიანთა დაკბენის გამო, გახშირებულია მიმართვიანობა ანტირაბიულ კაბინეტში. თემა იმდენად მტკივნეულია, რომ საჭიროა შევიკრიბოდ და შევიმუშაოდ კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ძაღლების გაყვანის სერვისი თუ არ ვცდები 200 ლარამდეა, რაც მთლიანობაში ბიუჯეტში დიდ თანხებზე გადის.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩვენ, უკვე 2025 წლის ბიუჯეტის განხილვისას აუცილებელია ვიმსჯელოთ აღნიშნულ საკითხზე.

ცნობად იქნა მიღებული:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის ანგარიში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IVკვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მოისმინეს: 2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IVკვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _21

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 21 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IVკვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი